პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, მეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი. № 93 (12605) | პარასკევი, 19 აპრილი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩინეთის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია მოსკოვში

17 აპრილს მოსკოვში სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის საძონელგაცვლის შესახებ მოლაპარაკების დასამთავრებლად ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია. მისი მეთაურია საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ლი ციანი. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

პლაია-ხირონის გამარჯვების წლისთავი

ჰავანა, 18 აპრილი. (საკდესი). 19 აპრილს კუბელი ხალხი ზეიმით აღნიშნავს თავისი რევოლუციის ისტორიის სახელოვან თარიღს — პლაია-ხირონის გამარჯვების დღეს. ზუსტად ორი წლის წინათ ამ დღეს აქ გაისმა უკანასკნელი გასროლის ხმა. საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე ხირონში შეიჭრნენ კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების ტანკები, რომელთაც კვალდაკვალ მიყვნენ კუბის არმიის, სახალხო მილიციის, რევოლუციური პოლიციის ბატალიონები. იმპერიალიზმის დაქირავებულთა ბრიგადა განადგურებულ იქნა. კუბელ მებრძოლთა და თავისუფლების კუნძულის მთელი ხალხის გმირობამ და ვაჟკაცობამ ჩაფუშა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მიერ გულდასმით შემუშავებული გეგმა — იარაღის დახმარებით გაესწორებინათ ანგარიში კუბის რევოლუციისათვის.

— ორი წლის მანძილზე დიდი ცვლილებები მოხდა ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში, — ამბობს ეფელიო პერესი, რომელიც სახალხო მილიციის ყოფილი 123-ე ბატალიონის შემადგენლობაში მონაწილეობდა ინტერვენტთა განადგურებაში. — ახლა ოსტატად ვმუშაობ გუანაბაკოას (ჰავანის გარეუბანია) საფეიქრო ფაბრიკაში. ბევრი ჩემი თანაბატალიონელი ამხანაგი აგრეთვე შრომობს საწარმოებში ან სახალხო მამულებში. სხვები ახლა სწავლობენ. არასოდეს არ ვივიწყებთ, რომ რევოლუციის მებრძოლები ვართ.

კინოფესტივალის წინ

7-21 ივლისს მოსკოვში ჩამოვა-ბა III საერთაშორისო კინოფესტივალი.

ფესტივალის მოსამზადებისა და მოწყობისათვის შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც შედიან საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კომიტეტს მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ვ. რომანოვი.

თოფის წამლის საწყოებზე

ჰავანა, 18 აპრილი. (საკდესი). „ჰაიტი თოფის წამლია საწყობზეა. ჩვენ საყოველთაო აფეთქების წინაშე ვიმყოფებით“, — ნათქვამია ჰაიტის ხალხის ერთობის პარტიის (კომუნისტური პარტია) განცხადებაში, რომელიც ამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნდა.

ოქტემგერიანი — მახარაძე

მეგობრობა გზად და ხიდად

ის დაუვიწყარი დღეები გუშინდელივით ახსოვთ ნატანებლებს. მაშინ, სწორედ ამ დროს — გაზაფხულზე, ვარდობისა და ყვავილობის დღეებში დაბაყარდა ძმური კავშირი მომძე სომხეთის სს რესპუბლიკის ოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის კოლმეურნეობის მშრომელებსა და მახარაძის რაიონის ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს შორის. მას შემდეგ 26 წელი გავიდა.

„მეგობრობის დროშა“! ასე ეძახიან ნატანებში სოფელ ნალბანდიანის კოლმეურნეობის გამგეობისა და საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის გარდამავალ წითელ დროშას, რომელიც განკუთვნილია ყველაზე მოწინავე ბრიგადისათვის. ამ დროშას ახლა კოლმეურნეობის მეთერთმეტე ბრიგადა (ხელმძღვანელი იპოლიტე ხურციძე) ფლობს. ასევე ლაღად ფრიალებს ნატანების კოლმეურნეობის გამგეობისა და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის გარდამავალი წითელი დროშა ნალბანდიანის კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადაში. ამ დროშას „ქართველებთან მეგობრობის დროშას“ ეძახიან.

შავი ზღვის სანაპიროდანაც კარგად მოჩანს მაღლობზე შეფენილი ნატანების კოლმეურნეობის ციტრუსოვანთა პლანტაციები, სადაც საგულდაგულოდ გაშენებული „მეგობრობის ბაღის“ შუაგულში აღმართულია მეგობრობის ობელისკი. მარმარილოს ამ საუცხოო ნაკეთობაზე წარწერილია სიტყვები: — ნიშნად ურღვევი მეგობრობისა ავუგეავრ ნატანებელთა მადლიან მარჯვენას, მომავალ საუკუნეთა თაობებს გადავცემ ამბავს ხალხთა ლენინური მეგობრობის სიდიადისს!

„მეგობრობის ბაღში“ დაკრეფილ მანდარინს, ფორთოხალს ბევრჯერ დაუშვენებია ნალბანდიანელ მშრომელთა სუფრა!

მომძე სომხეთის ოქტემბერიანის რაიონის ნალბანდიანის კოლმეურნეობის მშრომელები ვალში როდი დარჩენენ!...

— „მეგობრობის ბაღი“! — ასე ეკითხებოდნენ დიდი ოტტატბინი ნაკეთებ ქვის. ბარელიეფზე, რომელიც დგას სომხეთის სსრ ოქტემბერიანის რაიონის ნალბანდიანის კოლმეურნეობის საუკეთესო ჯიშის ვენახში. ვენახზე მოზეული ყურძნის საუკეთეო ღვინით ბევრჯერ აუვსია ნატანებელ კოლმეურნეს თავისი მამაპაპური ყანწი და გულით დაულოცავს მისი მომყვანი სომეხი კოლმეურნის მადლიანი მარჯვენა!..

ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრება გადაწყვეტილი აქვთ მოკლე დროში სტუმრად მოიწვიონ ან იქ, სომხეთში ეწვიონ თავიანთ ნალბანდიანელ მეგობრებს, გაიფრიმონ 1963 წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, გაეცნონ ერთმანეთის მიღწევებს მეგობრობისა და შეჯიბრების 26 წლისთავზე.

გ. ფიოლიძე — ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **ნური, ესოფი ბოლქვაძეები** — „მეგობრობის ბაღის მომვლელები; **ბ. ჩხაიძე** — „კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: მეგობრობის ობელისკი ნატანებში, მეგობრობის ბაღში.

ფოტო ა. აბულაძისა.

იდეოლოგიური მუშაობის მაღალი დონისათვის!

სამაისო დღესასწაულისათვის მზადება ჩვენს ქვეყანაში ხასიათდება ახალი დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით. ყოველი დღე აღსავსეა სასიხარულო მიღწევებით საბჭოთა ადამიანების საქმიანობის ყველა უბანზე; ყოველ დღეს მოაქვს გამარჯვებანი პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა ხორცშესხმისათვის. და გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის გიგანტური ნაბიჯები, დიდი პროგრესი ეკონომიკის, ყოფაცხოვრების, კულტურული მშენებლობის ყველა რგოლში მთელ მსოფლიოს ნათლად უჩვენებენ კომუნისტური იდეების, პარტიის პროგრამის დიდ სასიცოცხლო ძალას და ქმედითობას, ცხადყოფენ ჩვენი სოციალისტური სისტემის მოუწყვლად და სულ უფრო მზარდ შეაძლებლობებს.

კომუნიზმის გამარჯვება იპყრობა ხალხების, კოლმეურნეთა, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის, მთელი საბჭოთა ხალხის გონებისა და გულის ადამიანური მეგზურებით. კომუნისტური მშენებლობის საერთაშორისო საქმეში განუზომელი ფასი ექნა იდეოლოგიური ფრონტის შეჯახებას. იდეოლოგიურ მუშაობა ამჟამად არის ერთ უფრო აქტიურად აჩალებს მუშაობას პარტიის პროგრამის, XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისა და განსრულებისა. ეს ერთ-ერთ ერთ-ერთ ... ...

3. ი. ლენინი გამოდის სიტყვით.

ნახატი რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პ. ვასილიევისა. (საკ. ფოტოქრონიკა).

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ტრიუმფი

— ეს პატარა წიგნაკი მთელ ტომად ღირს, რომელიც ასულდგმულებს ცივილიზებულ ქვეყნებს, — წერდა ლენინი — „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შესახებ. ასევე მთელ ტომად ღირს დიდი ლენინის მოცულობით პატარა, მაგრამ შინაარსით ღრმა შრომა „მარქსიზმის სამი წყაროა და სამი შემადგენელი ნაწილი“.

ეს დიდებული შრომა გამოქვეყნდა 50 წლის წინათ, 1913 წელს ბოლშევიკურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ჟურნალ „პროსვეშჩენიეში“, კ. მარქსის გარდაცვალების, 30 წლისთავზე. მასში მოცემულია მარქსიზმის წარმოშობისა და განვითარების სწორი მეცნიერული ანალიზი.

მარქსიზმი წარმოიშვა იმ დროს, როდესაც ისტორიის სარბიელზე გამოვიდა პროლეტარიატი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა. მუშათა კლასის რევოლუციური პრაქტიკა ახალ რევოლუციურ თეორიას თხოულობდა. ასე იქმნება მარქსიზმის წარმოშობის ობიექტური, მატერიალური პირობები. მაგრამ მარქსიზმს აქვს თავისი იდეური, თეორიული წყაროებიც. ვ. ი. ლენინი მიგვითითებს მარქსიზმის სამ წყაროზე, მის სამ შემადგენელ ნაწილზე.

მარქსიზმი კონკრეტული ისტორიული ეპოქის პროდუქტია. მაგრამ იგი არ წარმოშობილა მსოფლიო ცივილიზაციის შარაგზის გარეთ. მარქსიზმი გამოხატავს მუშათა კლასის რევოლუციურ პრაქტიკას. პროლეტარიატის პრაქტიკა კი მოიცავს ყველა მშრომელის ბრძოლის გამოცდილებას. მარქსმა და ენგელსმა პასუხი გასცეს ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც კაცობრიობის მოწინავე აზროვნებამ წარმოშვა. მათ კრიტიკულად აითვისეს და გადაამუშავეს კაცობრიობის მიერ შეძენილი ცოდნა, განსაკუთრებით სამი იდეური მოძრაობა: გერმანული კლასიკური ფილოსოფია, ინგლისური კლასიკური პოლიტეკონომია და ფრანგული უტოპიური სოციალიზმი.

მარქსმა და ენგელსმა შექმნეს ახალი ტიპის მატერიალიზმი — დიალექტიკური მატერიალიზმი. ლენინმა გვიჩვენა, რომ მარქსიზმის სულს, საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის ფილოსოფიური დასაბუთების საფუძველს შეადგენს დიალექტიკა. დიალექტიკის ძირითადი ნიშნები ჰეგელმა ჩამოაყალიბა. მაგრამ ჰეგელის დიალექტიკა იდეალისტური იყო. მარქსმა და ენგელსმა მისგან აიღეს მხოლოდ რაციონალური მარცვალი, წინააღმდეგობების, ნახტომების გზით განვითარების იდეა და შექმნეს მატერიალისტური დიალექტიკა.

გერმანული ფილოსოფიის მეორე დიდი წარმომადგენელი — იყო ფოიერბახი. იგი ფილოსოფიის ძირითად საკითხს სწორად წყვეტდა, მაგრამ უგულებელყოფდა შეგნების შემოქმედებით ხასიათს. ამიტომ მისი მატერიალიზმი მჭვრეტელობითი იყო. მარქსმა შექმნა დიალექტიკური მატერიალიზმი.

მარქსმა და ენგელსმა დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებები საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გაავრცელეს. მარქსმა პირველმა მოახდინა გადატრიალება მსოფლიო ისტორიის გაგებაში. მან დაამტკიცა, რომ საზოგადოების განვითარებას განსაზღვრავს არა გონება და იდეები, არამედ მატერიალური დოვლათის წარმოების წესი.

მარქსიზმის ფილოსოფიაში მატერიალიზმი დიალექტიკურია, ხოლო დიალექტიკა მატერიალისტური. **გერმანული კლასიკური ფილოსოფია მარქსიზმის პირველი წყაროა, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი — მისი პირველი შემადგენელი ნაწილი.**

მარქსისტული ფილოსოფიის წარმოშობა მოასწავებდა რევოლუციას აზროვნების განვითარებაში. თვისებრივად შეიცვალა ფილოსოფიის შინაარსი, საგანი, მისი დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი. მარქსისტული ფილოსოფია რევოლუციური მოქმედების ფილოსოფიაა. „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად **განმარტავდნენ** სამყაროს, — წერდა მარქსი, — მაგრამ საქმე ის არის, რომ იგი შეცვლილ იქნას“.

დიალექტიკური მატერიალიზმისათვის ცხოვრების პრაქტიკის თვალსაზრისი, წერდა ლენინი, უპირველესი და ძირითადი თვალსაზრისია. ცხადია, ამით როდია უარყოფილი რევოლუციური თეორიის მნიშვნელობა. პირიქით, თეორია უდიდეს მატერიალურ ძალად იქცევა, როდესაც მასებს დაეუფლება. მაგრამ ასეთ ძალად მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გადაიქცეს, თუ რევოლუციურ პრაქტიკას დაუკავშირდება.

ამრიგად, მარქსისტული ფილოსოფია მოითხოვს თეორიის მჭიდრო კავშირს პრაქტიკასთან. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი მუშათა კლასის ხელში საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის მძლავრი ისტრუმენტია. მარქსის თქმით, „ფილოსოფია პროლეტარიატში პოულობს თავის მატერიალურ იარაღს“, ხოლო „პროლეტარიატი ფილოსოფიაში თავის სულიერ იარაღს“.

კ. მარქსმა ეკონომიური წყობა აღიარა საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლად. მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილებულა. კ. მარქსმა ეს წყობა ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა. ამ მხრივ ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მარქსის გენიალურ ნაწარმოებს „კაპიტალს“. მარქსამდე პოლიტეკონომია ინგლისში ჩამოყალიბდა. მისი წარმომადგენლები იყვნენ დავიდ რიკარდო და ადამ სმიტი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ღირებულების შრომითს თეორიას. ისინი ცდილობდნენ მოეცათ კაპიტალიზმის განვითარების კანონები.

იქ, სადაც ბურჟუაზიული ეკონომისტები ხედავდნენ საგანთა ურთიერთობას, მარქსმა ადამიანთა ურთიერთობა აღმოაჩინა. კაპიტალი არ არის მხოლოდ სიმდიდრეთა ჯამი. იგი გამოხატავს გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

ვ. ი. ლენინის შრომის „მარქსიზმის სამი წყაროა და სამი შემადგენელი ნაწილი“ 50 წლისთავის გამო

> **მარქსის მოძღვრება ყოვლად ძლიერია, იმიტომ რომ იგი სწორია.**
>
> В. Ульянов-Ленин

მარქსმა შექმნა თვისებრივად ახალი ეკონომიური თეორია, რომლის ქვაკუთხედს შეადგენს მოძღვრება ზედმეტი ღირებულების შესახებ.

მარქსმა ყოველმხრივ დაამტკიცა კაპიტალიზმის ისტორიულად გარდამავალი, დროებითი ხასიათი. კაპიტალისტთა მთელი კლასი უწევს ექსპლოატაციას მთელ პროლეტარიატს. ამიტომ საჭიროა ყველა ქვეყნის მუშები გაერთიანდნენ ბურჟუაზიის, როგორც კლასის წინააღმდეგ. ეს მოთხოვნა მარქსიზმის ფუძემდებლებმა გამოხატეს ცნობილი ლოზუნგით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ამ პრინციპით ხელმძღვანელობს ყველა ქვეყნის მუშათა კლასი კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში. **ინგლისური პოლიტეკონომია მარქსიზმის მეორე წყაროა, მარქსისტული პოლიტეკონომია — მისი მეორე შემადგენელი ნაწილი.**

პროლეტარიატი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლას მისი გაჩენის დღიდან იწყებს. მაგრამ თავდაპირველად ამ ბრძოლას შეუგნებელი, სტიქიური ხასიათი ჰქონდა. უტოპიური იყო მაშინ თეორიებიც სოციალიზმის შესახებ. მოუშზიფებელ ეკონომიურ პირობებს მოუმზიფებელი თეორიები შეესაბამებოდა. ცალკე უნდა აღინიშნოს კლასიკური უტოპიური სოციალიზმის შესახებ, რომლის წარმომადგენლები იყვნენ სენ-სიმონი, ფურიე და ოუენი. ისინი აკრიტიკებდნენ, წყევლიდნენ კაპიტალიზმს, არწმუნებდნენ მდიდრებს, რომ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია უზნეობაა. მაგრამ მათ არ შეეძლოთ ნამდვილი გამოსავალი ეჩვენებინათ.

მარქსმა სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად აქცია. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მის ორ დიდ აღმოჩენას — ისტორიის მატერიალისტურ გაგებას და მოძღვრებას ზედმეტი ღირებულების შესახებ. მარქსმა უპირველეს ყოვლისა მიმართა მუშათა კლასს. მან აღმოაჩინა მისი: მუშათა კლასი ბუნებით მოწოდებულია დაამხოს კაპიტალიზმი და ააშენოს კომუნიზმი.

მარქსმა დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე „გადასვლა“ ისტორიულად გარდუვალია. მაგრამ ეს როდია სტქიური პროცესი. ამ გადასვლის საჭიროებულო პირობაა პროლეტარული რევოლუცია.

კლასთა ბრძოლის მეცნიერული მოძღვრების საფუძველზე მარქსმა დაამტკიცა, რომ კლასთა ბრძოლას გარდუვალად მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურისაკენ. მანვე განსაზღვრა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადამავალი პერიოდის აუცილებლობა. პროლეტარიატის დიქტატურა, ამბობდა მარქსი, გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოა. მარქსმა გენიალური შორსმჭვრეტელობით დაახასიათა კომუნისტური საზოგადოების ძირითადი ნიშნები. კომუნიზმი უკლასო საზოგადოებაა პრინციპით: „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“. **ფრანგული უტოპიური სოციალიზმი მარქსიზმის მესამე წყაროა, მეცნიერული კომუნიზმი კი მისი მესამე შემადგენელი ნაწილი.**

მარქსიზმი დოგმატიზმის მტერია. ის არ დგას ერთ ადგილზე. მარქსიზმის ძალა მის შემოქმედებითს ხასიათშია. მისი ცალკეული მოძველებული დებულებები იცვლებიან ახალი პირობების შესაბამისად ახალი დასკვნებითა და დებულებებით.

ვ. ი. ლენინმა დაიცვა და განავითარა მარქსისტული ფილოსოფია — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი. საკმარისია აღინიშნოს ლენინის გენიალური ნაწარმოები „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ამ წიგნში ლენინმა ფილოსოფიურად განაზოგადა ყოველივე მნიშვნელოვანი და არსებითი, რაც კი მეცნიერებას, კერძოდ ბუნების მეტყველებას, შეუძენია ენგელსის სიცოცხლის დროიდან ლენინამდე. ლენინმა განავითარა მარქსის ეკონომიური მოძღვრება. ლენინის წიგნი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ კ. მარქსის „კაპიტალის“ გაგრძელებას წარმოადგენს.

დიდმა ბელადმა ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მეცნიერული კომუნიზმის თეორია. მან პირველმა მარქსისტთა შორის მოგვცა იმპერიალიზმის მეცნიერული ანალიზი. მარქსი და ენგელსი იცავდნენ პროლეტარული რევოლუციის ერთდროული გამარჯვების თვალსაზრისს. წინააიმპერიალისტურ ეპოქაში ეს დასკვნა სწორი იყო. ლენინმა დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც მთელი სისრულით მოქმედებს ეკონომიური და პოლიტიკური უთანაბრო განვითარების კანონი, შეუძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ერთდროულად მეტ წილ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ასე წარმოიშვა პროლეტარული რევოლუციის ახალი მარქსისტული თეორია, ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების თეორია.

ამ თეორიის მიხედვით იმპერიალიზმის ჯაჭვი იმსხვრევა მისი სუსტი რგოლების [illegible] — სტორიულმა პრაქტიკამ დადასტურა რევოლუციის [illegible] ლენინმა [illegible] ლენინმა [illegible] ლენინმა

ცხოვრების მახარდამხარ

ყველასათვის ცნობილია, რომ ცხოვრება, ჩვენი თანამედროვის სულიერი სამყარო, შთაბეჭდილებებისა და გაბედების მიღების სფერო ათჯერ უფრო ართული და მრავალფეროვანი გახდა, ვიდრე ეს იყო თუნდაც ათი წლის წინათ. ბავს რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, სწორედ დღევანდელი თაობაა მოწამე ენიალური ციოლკოვსკის იმ წინასწარმეტყველების ახდომისა, რომ ადამიანი მოწყდება თავის აკვანს — მშობლიურ მიწას და ვარსკვლავთა იდუმალებით მოცულ სამყაროში გადააბიჯებსო.

ჩვენი თანამედროვის მეცნიერული და ექნიკური დონე მანამდე ოცნებით მიუწვდომელ სიფუსურამდე ამაღლდა. გრანდიოზული და ეშეშმარიტად განსაცვიფრებელია ჩვენი მიღწევები კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში. უპასუხებს თუ არა პარტიული ორგანიზაციებს ადეოლოგიური მუშაობა, მისი ფორმები და მეთოდები ეპოქის მოთხოვნებსა და ბჯისცემას?!

და აი დადასტურებაც თბილისის პირველი მაისის რაიონის მაგალითზე: შექმნილია ოთხასამდე პოლიტწრე, პოლიტსკოლა, თეორიული სემინარი, სხვადასხვა უნივერსიტეტები და კურსები, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა ფაკულტეტი ქსელი. 15 ათასამდე კაცი გაერთიანებულია პოლიტიკური განათლების ერთ სისტემაში. 2.500-ოდე აგიტატორი ეწევა სააგიტაციო მუშაობას. ამას ემატება ლექციები, მოხსენებები, დისკუსიები და საღამოები, შემოქმედებითი და სანახაობითი ორგანიზაციების მძლავრი კერები, კერძოდ: კონსტუდია „ქართული ფილმი", მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, სახელმწიფო ფილარმონია, მუსიკალური კომედიის თეატრი და სხვ. აღარ ვლაპარაკობ სკოლებზე, ტექნიკუმებზე, კლუბებზე, რომლებიც თავისთავად მოწოდებული არიან ჩვენი საზოგადოების წევრთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ამ ციფრებისა და მონაცემების გვერდით, პარტიის მიზანდასახულობათა ხორცშესასხმელად მასობრივი გმირობისა და თავდადების პარალელურად არსებობენ ადამიანები, რომლებიც ვერ ხედავენ ჩვენი დღეების სიდიადეს და, მაშასადამე, მომავლის ბრწყინვალებასაც. ბევრი მათგანის გონებას ობივატელური ხავი მოჰკიდებია და საკუთარი „მეს" და „ჩემის" მიღმა ვერ ხედავს ან არ სურს დაინახოს და განიცადოს წინსვლისა და რევოლუციურ გარდაქმნათა რომანტიკა.

ზოგიერთის შეგნებას წვრილბურჟუაზიული ჭია ღრღნის და აიძულებს სახელმწიფო ქონების ძარცვა-მტაცებლობა ჩაიდინოს, ეგოისტურ განწყობილებათა ჭაობში ჩაეფლოს, თუმცა ზოგიერთი მათგანი პოლიტწრეებსაც და პოლიტსკოლებსაც ესწრება, ლექტორებსაც უსმენს, თავიც „კარგად" უჭირავს და კარგ შეფასებასაც იღებს. ეს პირები აღიზარდნენ ჩვენს საბჭოთა სკოლაში, უმაღლეს სასწავლებლებსა თუ ტექნიკუმებში, ისინიც არიან საბჭოთა ხალხის სისხლისა და ოფლის ნაწილი. ჩემი აზრით, ჩვენი საზოგადოებისათვის ასეთი უცხო გამოვლინებათა ასახსნელად საგულისხმოა მთელი რიგი მომენტები ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათისა. საგულისხმოა, კერძოდ, სამამულო ომის სიძნელენი და მისი შედეგები, მოვლენები დაკავშირებული პიროვნების კულტთან, რევოლუციური კანონიერების დარღვევებთან.

ზოგიერთი ნაკლი ჩვენი იდეოლოგიური ცხოვრებისა სწორად ის არის, რომ ყოველთვის არ ხერხდება საზოგადოების ყველა წევრში დიდი იდეალების აღზრდა, ხოლო თუ არ იქნება დიდი იდეალი, არ იქნება რწმენაც ხვალინდელი დღისა. ხოლო ურწმენოდ ადამიანის სული ცარიელია.

იდეალისა და რწმენის ჩამოყალიბებისა და აღზრდის პროცესი კი ცხოვრებას, სწავლას, კრიტიკული აზროვნების ურთულესი პროცესია.

ჩვენი თანამედროვის რწმენა უნდა ემყარებოდეს დიდ ცოდნას, საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა ახსნისა და შეთვისების უნარს.

ადგილებზე ზოგჯერ ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის არსენალში ყველაზე მეტად იგრძნობა სიღარიბე, იმ გზების ერთფეროვნება, რომლებიც საბჭოთა ადამიანის აზრისა და განცდებისაკენ მიდის და რომელთა მეშვეობითაც იგი უნდა იღებდეს იდეურ და სულიერ საზრდოს.

სოციალისტური იდეოლოგია თავისი ბუნებით შემტევი, აქტიური ზემოქმედების, რევოლუციური ბრძოლის იდეოლოგიაა. ყოველგვარ პასიურობას, ზერელობას და რუტინას იდეური ცხოვრების სფეროში მივყავართ პოზიციების დათმობამდე, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეშფოთარებლობისა და კომპრომისის განწყობილებამდე.

ჩვენ მოწამენი ვართ იმისა, თუ როგორ ფართოდ გაეხსნა გზა უკანასკნელ წლებში თავისუფალ აზრს, როგორ გაფართოდა შთაბეჭდილებათა მიღების ასპარეზი, დიდი მასშტაბი მიეცა სახელმწიფოთა შორის კულტურულ გაცვლას, უცხოური ლიტერატურის, ეურნალ-გაზეთების, კინოსურათების შემოზიდვას, დელეგაციების მიღებასა და გაგზავნას და ა. შ. სხვა დროს ერთგვარ ჩარჩოებში მომწყვდეული აზროვნება ჩვენი თანამედროვისა ხარბად დაეწაფა ყოველივე იმას, რაც მანამდე აკრძალულ ხილად იყო მიჩნეული და ბევრ დადებითთან, პროგრესულთან ერთად ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიერ შემოპარებული უვარგისი და მავნეც შეითვისა და შეიგუა.

ჩვენ მოწამენი ვართ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მხრივ სოციალიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიური ექსპანსიის მრავალგვარი ხრიკებისა, დაწყებული ტურიზმის გამოყენებით, დამთავრებული მტრული რადიოგადაცემებით, რომლებიც ათასგვარ პროვოკაციულ ჭორებს თხზავენ და ავრცელებენ.

თუ გულახდილი ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთი პარტორგანიზაციის ბრძოლა ჩვენი იდეური მტრების წინააღმდეგ ყოველთვის როდი მიზანსწრაფული და შეუპოვარი. იდეოლოგიური დარგის ზოგიერთი მუშაკი თავის მისიას ამ მხრივ შესრულებულად თვლის, თუ თვითონ არ მოექცა რომელიმე ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ.

ბურჟუაზიულ იდეოლოგიას უადგილდება თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს ცალკეული არამტკიცე ელემენტები იმიტომაც, რომ ზოგიერთი პარტიული მუშაკი, პროპაგანდისტი თუ აგიტატორი, ლექტორი თუ მასწავლებელი მასებთან ურთიერთობაში გაურბის კამათს, გულახდილ და პრინციპულ საუბარს, გვერდს უვლის იმ გაუგებარსა და ბუნდოვანს, რაც ამა თუ იმ პიროვნებას აწუხებს და აღელვებს.

პოლიტწრეებში, პოლიტსკოლებში, სემინარებზე, მეცადინეობასა და ლექციებზე ჩვენში არ არის და არც იქნება პოლიტიკური პლატფორმათა ჭიდილი, რადგან არ არის საუფლელი თვით ამ პლატფორმათა არსებობისათვის. მაგრამ იმ კოლექტივში, სადაც ჩვენი პროპაგანდისტული მუშაობა წარმოებს, არიან სხვადასხვა ხასიათის, სხვადასხვა ბუნების, სხვადასხვა ცოდნის ადამიანები, და გამორიცხული არ არის, რომ ისინი სხვადასხვანაირად აღიქვამდნენ მოვლენებს, განსაკუთრებით კი სიძნელეებს, რომლებიც თან ახლავს ჩვენი საზოგადოების წინსვლას, შენებას.

იქ, სადაც პოლიტიკურ მუშაობაში ბატონობს მედავითნეობა, სადაც ამ საქმეს ხელმძღვანელობს პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანი, დაუშეებელი ხდება ყოველგვარი საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა. არ არის მსჯელობა, არ არის კამათი. მაშასადამე, ზოგიერთისთვის დაუდგენელი ხდება ჭეშმარიტება.

ჩვენ ძალიან გვაკუნებს ერთი გარემოება: პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ მუშაობაში ახლა ჩაბმულია თითქმის ყველა კატეგორიის მუშაკი, და ეს კარგია, დიდი მიღწევაა. მაგრამ ამ მოვლენის მეორე მხარესაც უნდა ჩავუკვირდეთ მომავალში. ეს არის საკითხი იმის შესახებ, რომ საბჭოთა მოქალაქემდე ბოლშევიკური, მართალი სიტყვა მიჰქონდეთ მხოლოდ მართალ, კრისტალურ, პატიოსან ადამიანებს, რომელთა სიტყვა მათი საქმის ანარეკლია, და რომლებშიც განსახიერებულია დიდი და მაღალი იდეალები. საიდუმლო არ არის, რომ ადამიანები ზოგჯერ ისმენენ ერთს, ხოლო ცხოვრებაში ხედავენ მეორეს.

ჩვენს რაიონში შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ცალკეული მუშაკები, რომლებიც პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან, პოლიტიკური მოხსენებებით

-ოდიან, თვით ალმორჩდნენ დაავადებულნი კერძო-მესაკუთრული ტენდენციებით, სახელმწიფოს ხარჯზე ხელის მოთბობის მიდრეკილებებით და სხვა ანალოგიური ნამალინებით.

ასეთი ადამიანები დიდ პრიზს აკეთებენ არა მარტო იდეოლოგიურ მუშაობას, არამედ, საერთოდ, კომუნისტური მშენებლობის საქმეს, და რაც უფრო ადრე გავთავისუფლებთ კომუნიზმის იდეებს ასეთი „პროპაგანდისტებისაგან", მით უფრო მეტი იქნება ჩვენი წარმატებანი ამ ფრონტზე.

პირველი მაისის რაიონული პარტიული ორგანიზაცია მუშაობს იმისათვის, თუ რა გზებით და საშუალებებით გავაფართოოთ პარტიის იდეური ზემოქმედების ფარგლები, როგორ გამოვიყენოთ ამ საქმეში კლუბები, სამკითხველოები, კინოთეატრები, სტადიონები, საზოგადოებრივი თავშეყრისა და გართობის ობიექტები. რაიონის კინოთეატრებში, მაგალითად, ყოველდღიურად 15-20 ათასი კაცი გაივლის. უფრო მეტი მაყურებელი მყავს კლუბებსა და კულტურის სახლებს, კიდევ მეტი — სტადიონებსა და სპორტულ დარბაზებს. ამ საქმეში ჩავაბით ამხანაგები, რომლებსაც აქვთ სათანადო ცოდნა, ფანტაზია, გემოვნება. და პირველი შედეგებიც კარგია: ადამიანები ინტერესით ისმენენ ჩვენს საუბრებსა და გადაცემებს, ისმენენ ახალ ამბებს, სპორტულ მომხიბლვებს, პოლიტიკურ პამფლეტებს და ა. შ.

საინტერესო ღონისძიებების განხორციელება დავიწყეთ ბავშვებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის. მთელ რიგ სკოლებში სასწავლო დღე იწყება ნორჩებისათვის გასაგები პოლიტინფორმაციით, უფრო მეტი მიზანსწრაფულობა მიეცა მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებს. ამ მხრივ პარტიულ ორგანიზაციათა ახპარეზი უსაზღვროა.

პარტიის რაიონულ კომიტეტთან შექმნილი იდეოლოგიური მუშაობის კომისია ახლა ენერგიულად მუშაობს რაიონის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში მიღწევათა და ნაკლოვანებათა შესწავლისათვის. როგორც ცნობილია, ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები ახლებურად დაისვა პარტიის ახალი პროგრამის მიღებასთან დაკავშირებით. მოძმე საბჭოთა ხალხების ეკონომიური და სულიერი ცხოვრების სფეროში მოპოვებულ მიღწევათა პოპულარიზაცია, ჩვენი ხალხების სოციალისტურ კულტურათა შემდგომი დაახლოება, ძმობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცება კონკრეტულ, ცოცხალ მაგალითებზე — ასეთია ამ დარგში ჩვენი საქმიანობის დედაარი.

ე. შევარდნაძე,
საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი.

კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში იდეოლოგიური მუშაობა სულ უფრო მძლავრი ფაქტორი ხდება. რაც უფრო მაღალია საზოგადოების წევრთა შეგნება, მით უფრო სრულად და ფართოდ ვითარდება მათი შემოქმედებითი აქტივობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, შრომის კომუნისტური ფორმების და ადამიანთა ახალი ურთიერთობების განვითარებაში და მაშასადამე, მით უფრო სწრაფად და წარმატებით წყდება კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები.

სკკპ პროგრამიდან.

პარტიული ქრონიკა

პროპაგანდისტები — ფყიბულჰესში

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულის ციდროელექტროსადგურში მოეწყო პროპაგანდისტთა მორიგი გასვლელი მეცადინეობა, რომელსაც 50 კაცი დაესწრო. ლექციას თემაზე — „ენერგეტიკული მრეწველობის განვითარება ახალ ფვიდფლეფი" — წაიკითხა ტყიბულჰესის დირექტორმა პ. კაპკაჰიშვილმა. ლექტორი კ. ბრეგაძე მსმენელებს ესაუბრა საბჭოთა მეცნიერების მიღწევებზე კოსმოსის ათვისების საქმეში.

დასასრულ პროპაგანდისტებმა დაათვალიერეს ტყიბულის უნიკალური ციდროელექტროსადგური.

კითხვა-პასუხის საღამო

გორი. (საკ. კორ.). ბევრი ფეიქარი დაესწრო ბამბეულის კომბინატის კლუბში კითხვა-პასუხის საღამოს, რომელიც მოაწყეს პარტიის გორის საქალაქო კომიტეტმა და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქალაქო განყოფილებამ.

ამავალ შეკითხვაზე, რომლებიც შეეხებოდა ქალაქის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო, კომუნისტური შრომისა და ცხოვრების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხებს, ამომწურავი პასუხი გასცეს გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ლაცაბიძემ, ბამბეულის კომბინატის მთავარი ინჟინრის მოადგილემ ა. ქარსანიშვილმა, გორკომბრობის დირექტორმა ი. სოხაძემ, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის ლექტორმა ნ. ხომასურიძემ და სხვებმა.

პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის კაბინეტი

ქასპი. (საკ. კორ.). სამრეწველო-საწარმოო პარტიულ კომიტეტთან შექმნა და საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის კაბინეტი, რომელიც დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს პირველად პარტიულ ორგანიზაციებს.

კაბინეტს ლამაზად გაფორმებული და კოხტად მოწყობილი რამდენიმე კუთხე აქვს. ამოსაწერები სკკპ წესდებიდან სტენდებზე მოგვითხრობენ, თუ ვინ შეიძლება იყოს სკკპ წევრი, როგორ ხდება პარტიის წევრად მიღება, როგორია პარტიის წევრისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის ეფლება-მოვალეობანი; აქვეა პირველადი პარტიული ორგანიზაციის და პარტიულთა ბიუროს სანიმუშო სამუშაო გეგმებისა და პარტიაში მისაღებ პირთა შევსებული ანკეტების ნიმუშები.

გაგეთი და აღგზრდის საკითხები

კეთილშობილური და საპატიოა ჩვენი პრესის როლი ახალი ადამიანის — დიადი იდეალებისა და მაღალი ზნეობრივი პრინციპების ადამიანის აღზრდაში. გაზეთს მასებში შეაქვს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, განუმარტავს მათ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის მნიშვნელობას. ზრდის საბჭოთა ადამიანებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, გამოდის წარსულის გადმონაშთების, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამხრწნელი გავლენის წინააღმდეგ. პრესა განადიდებს კომუნიზმის მშენებელთა სახელოვან შრომას, თავისი კრიტიკის ცეცხლს მიმართავს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ.

როგორ ასრულებს ამ მოწოდებას თელავის საარაინთაშორისო გაზეთი „ალაზნის განთიადი" (რედაქტორი შ. როსტომაშვილი)? — აი კითხვა, რომელიც გებადებათ მისი ნომრების გადაფურცვლის დროს.

გაზეთის ფურცლებზე შეხვდებით მასალებს, რომლებიც ასახავენ იდეოლოგიური ცხოვრების ბევრ მხარეს. მარტო რუბრიკებისა და წერილების სათაურთა ჩამოთვლაც ცხადყოფს ამას: „აღზრდის თემაზე", „მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შეუფასებლობის შედეგად", „სადაც სააგიტაციო მუშაობა დუღს", „აღმოფხვრათ ნაკლოვანებანი პარტიული განათლების საქმეში", „იდეოლოგიური მუშაობის ძლიერებისათვის", „იქნება მშობლებსაც მიუძღვით ბრალი"?, „არავითარი დანდობა საყოლმეურნეო შრომის დეზერტირებს"... პერიოდულად ქვეყნდება მასალები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

ალაზნის განთიადი

პრესის მიმოხილვა

გაზეთს კარგად ესმის იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის დაკავშირების აუცილებლობა. ამიტომ, როცა იგი თავის ფურცლებზე დუმასტურელ მეცხოველეთა სამარცხვინო ჩამორჩენაზე ლაპარაკობდა, ამ ფაქტს სამართლიანად მიაწერდა მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შეუფასებლობას, რასაც მკაფიო ფაქტებითა და მაგალითებით ასაბუთებდა.

ამას წინათ გაზეთი, რომელმაც გააკრიტიკა აკურრის, კურდღელაურის, კონდოლის კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში პოლიტიკური სწავლების დაყენება, დასაკვნილა: „ცხადია, კომუნისტი, რომელმაც არიცის რისთვის იბრძვის, რა კონკრეტული ამოცანებია დასახული მისი კოლმეურნეობის წინაშე, ძნელად გაერკვევა საკუთარ მიზანდასახულობაში. ასეთ ადამიანს, უგებმო, შემოხვევითი იქნება მისი საქმიანობა". და იქვე, ამის დასამტკიცებლად მოპყავდა დამაჯერებელი ფაქტები ამ კოლმეურნეობათა სამეურნეო წარუმატებლობის შესახებ.

გაზეთში შეხვდებით ჩვენი ახალგაზრდობის ფიქრებისა და მისწრაფებების, მათი ტკივილების ამსახველ მასალებს. თავის ერთ-ერთ ნომერში გაზეთი წერდა ლალისყურელი ახალგაზრდების დიდი ნაწილის მჩქეფარე ცხოვრებაზე, ამასთანავე აკრიტიკებდა ზარმაცებს, რომლებიც მშობლების კალთას ამოფარებიან და უზრუნველი ცხოვრება სურთ.

როგორც ცნობილია, იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობა თავს იჩენს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოღვაწეობის კონკრეტულ შედეგებში. ეს კარგად ესმის გაზეთს, რომელიც სისტემატურად აქვეყნებს მასალებს ამის შესახებ.

იდეოლოგიური საკითხების გაშუქებაში გაზეთ „ალაზნის განთიადს", ყველა ამასთან ერთად, ნაკლოვანებანიც აქვს. მის ფურცლებზე ჯერ კიდევ შეზღუდულია წერილების თემატიკა, ზოგიერთი მასალა დაწერილია სტანდარტულად, მოკლებულია გულახდილობასა და დამაჯერებლობას. არ ჩანს მასალები იმ ხელმძღვანელებზე, რომლებიც პირადად არ ეწევიან იდეოლოგიურ მუშაობას და არ იმაღლებენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს. ნაკლებია მძაფრი კრიტიკული წერილები იმ პარტიულ ორგანიზაციებზეც, რომლებიც ნაკლებად ზრუნავენ იდეოლოგიური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე.

ჩვენი პარტიული პროპაგანდა მოწოდებულია იდგეს იმ ამოცანათა დონეზე, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე პარტიამ წამოაყენა და რომელთა გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია ჩვენი დიადი საქმის წარმატება. ამიტომ ამ მხრივ მეტი მოეთხოვება გაზეთ „ალაზნის განთიადს", რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ მსხვილ ეკონომიურ რაიონში უხდება მოღვაწეობა.

ქურნალისტთა სოლიდარობა

მოსკოვი, 18 აპრილი. (საკდესის კორ). აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჟურნალისტთა კონფერენციაში მონაწილეობისათვის გუშინ ინდონეზიაში გაფრინდა საბჭოთა ჟურნალისტების დელეგაცია სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივნის, პრესის სააგენტო „ახალი ამბების" გამგეობის თავმჯდომარის ბ. ბურკოვის მეთაურობით.

დელეგაციაში შედიან გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტი ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში ჩ. აიტმატოვი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, თურქმენეთის დეპეშათა სააგენტოს დირექტორი ა. გელდიევი, უზბეკეთის სსრ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კიზილ უზბეკისტონის" რედაქტორი ზ. ესენბაევი, ჟურნალ „მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის" კონსულტანტი ს. მიქოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის რედაქტორი გ. ნაზაროვა, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარე, ჟურნალ „საერთაშორისო ცხოვრების" მთავარი რედაქტორის მოადგილე შ. სანაკოევი. გაზეთ „პრავდის" მიმომხილველი ო. ჩერტკინა, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, რესპუბლიკური გაზეთის „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი ი. ჩხიკვიშვილი და ყაზახეთის სსრ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, რესპუბლიკური გაზეთის „სოციალისტიკ ყაზახსტანის" რედაქტორი კ. უსებაევი.

შეთქმულება ჰაიტიში

პანანა, 18 აპრილი. (საკდესი). პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი პორტ-ო-პრენსიდან იუწყება, რომ გუშინ ჰაიტის შინაგან საქმეთა და ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ აღმოჩენილია სამხედრო შეთქმულება, რომელიც მიზნად იყახავდა ფრანსუა დიუფალიეს მთავრობის დამხობაა. სამხედრო ხელისუფლებმა დააპატიმრეს რამდენიმე ოფიცერი.

ინგლისელი გიზნესმენი: მე მხარს ვუჭერ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას

